საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოილაძე ვახტანგ იოსების ძე

გოილაძე ვახტანგ იოსების ძე (დ. 11. III. 1938. სოფ. ყვიბისი, ახლანდ. ბორჯომის მუნიციპალიტეტი), ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1998). დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი (1965). იყო ქ. თბილისის ოქტომბრის რ-ნის №18 სახლმმართველობის პედაგოგ-ორგანიზატორი, ქართ. საბჭოთა ენციკლოპედიის სამეცნ. რედაქტორი (1967-76). 1976-იდან მუშაობს ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინ-ტში, 1995-2008 ლექციებს კითხულობდა დ. გურამიშვილის უმაღლეს პედ. სასწავლებელში.

გ. იკვლევს ადრეფეოდალური საქართვ. პოლიტ. ვითარებას და ეკლესიის ისტორიას, ურთიერთობას ბიზანტიასთან, სასანიანთა ირანთან, ძველ ჰუნურ-თურქულ სამყაროსთან და ჩრდ. კავკასიაში არსებულ ოსურ გაერთიანებებთან. იგი არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მ. შ. 20 მონოგრაფიის, ათეულობით საგაზეთო და საენციკლოპედიო წერილის ავტორი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001).

თხზ.: ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, თბ., 1990; ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ., 1991; ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991; აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა და საქართველო, თბ., 1997; ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, თბ., 2002; ჰუნ-თურქები კავკასიაში, თბ., 2008; ათასწლოვანი სვეტიცხოველი, თბ., 2011; ოსთა წინაპრები ძვ. წ. VII – ახ. წ. XV საუკუნეებში, თბ., 2018; ახალი გამოკვლევები, თბ., 2018; ქართლის ერისმთავრები სტეფანოზ I და ადარნასე , თბ., 2020.